ი. მეწარმე გიორგი ხარძილაძე; მის: საქართველო, ლაგოდეხი, სოფელი თელა; ტელ: +995598222022

საქართველოს გარემოს დაცვისა

და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

N291120-21

29.11.2021

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ ინდ. მეწარმე გიორგი ხარშილაძეს დაგეგმილი აქვს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. გიორგეთის მიმდებარედ თავის კუთვნილებაში არსებულ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა- ხრეში) გადამამუშავებელ საწარმოში, დამატებით ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა.

საწარმო ფუნქციონირებს 2015 წლიდან, სადაც მოწყობილი იყო ნედლეულის გადამუშვების ერთი ტექნოლოგიური ხაზი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინდ. მეწარმე გიორგი ხარშილაძემ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეათანხმა „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში" 2015 წელს, 5 წლის ვადით. ვინაიდან, მიმდინერობდა საწარმოში საპროექტო პარამეტრების ცვლილება აღარ მომხდარა აღნიშნული ანგარიშის განახლება. ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია მე-2 ხაზის მონტაჟიც. ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია ტექნოლოგიური ხაზისთვის საჭირო საძირკვლები და მასალები, დარჩენილია მხოლოდ მცირე სამონტაჟო სამუშაოები.

მოცემული საქმიანობა განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 5.1 ქვეპუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულ საქმიანობას (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) და შესაბამისად იგი ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ზემოღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის, მე-4 პუნქტის შესაბამისად და წარმოგიდგენთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 9 ნოემბერის N11601/01 წერილის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

დანართი:

1. სკრინინგის ანაგარიში -ელ. ვერსია;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 21351
"29" 11 2021
03

ი. მეწარმე გიორგი ხარძილაძე; მის: საქართველო, ლაგოდეხი, სოფელი თელა; ტელ: +995598222022

2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები shp-ფაილის სახით).

პატივისცემით

ინდ. მეწარმე

გიორგი ხარშილაძე